



შენაბამოსთვის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის
ავტონომიურ რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

29 მარტი 2023 წელი

N 12/36

ეგზ. N 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020-2021
წლებში განხორციელებული სახელმწიფო
შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	7
	1. შესავალი	9
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტის საგანი	10
	აუდიტის მასშტაბი	10
	აუდიტის კრიტერიუმები	10
	აუდიტის მიზანი	11
	აუდიტის მეთოდოლოგია	11
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	12
	2. აუდიტის მიგნებები	14
დანართები	დანართები	30
	საკონტაქტო ინფორმაცია	31

ტერმინები და შემოკლებები

აფხაზეთის მინისტრის აპარატი – იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი.

განათლების სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

გამარტივებული შესყიდვა – შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ ან 5 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევებში.

ელექტრონული ტენდერი – 5 000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვის საშუალება, რომელიც მოიცავს ელექტრონული ტენდერისათვის დადგენილ პროცედურებს.

იგპ სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო.

მთავრობის აპარატი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

პროგრამების სააგენტო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სსიპ – ეკონომიკური პროგრამების სააგენტო.

პრეტენდენტი – პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური.

სახელმწიფო შესყიდვა – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა.

სსიპ – აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო – მინერალური რესურსების სააგენტო.

უმაღლესი საბჭო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.
ფინანსთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შემსყიდველი ორგანიზაცია – რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

შესყიდვის ობიექტი – შესასყიდი საქონელი, მომსახურება ან სამშენებლო სამუშაო.

ჯანდაცვის სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

SMP მოდული – სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების მოდული.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (შემდგომ – აუდიტის საგანი) შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, სატენდერო განაცხადის და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის, პრეტენდენტთა შერჩევა-შეფასების, გამარტივებული შესყიდვების, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების, შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საგარანტიო ვადების, საავანსო ანგარიშსწორების საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო შესყიდვების მომზადება

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

სახელმწიფო შეყიდვების მომზადების ნაკლოვანებები

შესყიდვების წლიური გეგმის¹ პროექტის შემუშავების დროს არ იყო გათვალისწინებული კანონის² მოთხოვნები შესაფერისი ინფორმაციის შეგროვების, მისი სათანადო შესწავლისა და ანალიზის თაობაზე. შესყიდვის საჭიროებები არ განისაზღვრებოდა რაციონალური გათვლების საფუძველზე. შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციებში არ იყო ჩამოყალიბებული მართლზომიერი პრაქტიკა მომავალი წლისთვის საჭირო შესყიდვების სწორად და რაციონალურად დასაგეგმად, რის გამოც სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმები განიცდიდა არსებით და მრავალჯერად ცვლილება-დამატებას, რაც შემდგომში სახელმწიფო შესყიდვების შეწყვეტის, პროცედურების გაჭიანურებისა და საბოლოოდ საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური, არაეფექტიანი ხარჯვის რისკის მატარებელი იყო.

ბაზრის კვლევა

ბაზრის კვლევის ნაკლოვანებები

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ბაზრის კვლევა ორ შემთხვევაში³ არ ჩატარებულა ან რაც ჩატარდა, ისიც ფორმალურ ხასიათს ატარებდა და არ ემსახურებოდა პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად განისაზღვრა. პროცესი არ იყო ფორმალიზებული და ვერ დგინდებოდა, რომელი მეთოდით ხდებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.⁴

სატენდერო პირობები, სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია

სატენდერო პირობების, სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“⁵ მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრეს სატენდერო კომისიებმა, რიგ შემთხვევაში⁶ არ გამომდინარეობდა შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან, არ იყო პროპორციული და

¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9.

² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 6.

³ უმაღლესი საბჭო და იგპ სამინისტრო.

⁴ მიწოდებული ფასების უმცირესი ან მაღალი ფასი, თუ კომბინირებული ფასი.

⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 18.

⁶ 8 შემთხვევა.

ინტერესთა კონფლიქტი

არადისკრიმინაციული, ხელს არ უწყობდა ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას, პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას. შესაბამისად, ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით, პრეტენდენტთა მიმართ რელევანტური მოთხოვნები არ იყო დადგენილი.

ინტერესთა კონფლიქტის გაცხადებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლები ასრულებდნენ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ ისეთ საქმიანობებს,⁷ რომლებსაც მოქმედი კანონით⁸ ეხება ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე ინფორმაციის გამჟღავნება.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მიმწოდებლის ვინაობა, კანონით დადგენილი ვალდებულების⁹ მიუხედავად, შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლებს წერილობით არ დაუდასტურებიათ, რომ შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევდა ინტერესთა კონფლიქტს.

გამარტივებული შესყიდვა

გამარტივებული შეყიდვის ხარვეზები

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით, გამარტივებული წესით განხორციელდა ისეთი საქონლის შესყიდვა, რომლის შესყიდვაზეც ტენდერის დროულად გამოცხადება არ გამოიწვევდა ღონისძიების შეფერხებით ჩატარებას.

შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საგარანტიო ვადები

შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და საგარანტიო ვადების ნაკლოვანებები

მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზები და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით. 11 შემთხვევაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა, რაც ძირითადად უკავშირდებოდა სამუშაოების უხარისხოდ და არასრულად შესრულებას. აღნიშნულ ობიექტებზე, 4 100 ლარამდე სამუშაოების შესრულება არ დადასტურდა.¹⁰

დეზინფექციასა და დეზინფექციასთან დაკავშირებული მომსახურებების ელექტრონულ შესყიდვები

დეზინფექციასა და დეზინფექციასთან დაკავშირებული მომსახურებების ელექტრონულ შესყიდვებში გამოვლენილი ხარვეზები

ჩატარებულ დეზინფექციასთან¹¹ დაკავშირებული სამუშაოების ნუსხით¹² წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება, რომელ ობიექტებში ჩატარდა 900 ლარის ღირებულების სადეზინფექციო სამუშაოები.

ობიექტების დასახელებისა და თარიღების მითითებით შესრულებული სამუშაოების აქტები შედგენილი არ იყო.

⁷ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვა, შერჩევა და შეფასება; ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა.

⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

⁹ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁰ აფხაზეთის ა/რ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროში „დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დახარჯული საბიუჯეტო სახსრების აუდიტის ანგარიში.

¹¹ დეზინფექციასა და დეზინფექციასთან დაკავშირებული მომსახურებები აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სსიპ - გეოლოგიის და მინერალოგიის სააგენტოს (2020 წელს) და რეორგანიზაციის შემდეგ მისი სამართალმემკვიდრის - სსიპ - აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მომსახურების სააგენტოს (2021 წელს) მიერ ჩატარებულია ოთხ ეტაპად.

¹² ქ.ხონში მითითებულია 17 ობიექტი, სულ - 4500 კვ.მ ფართობი, მისამართების გარეშე.

**შესაძლო დანაშაულის
შემცველ ფაქტებთან
დაკავშირებით და
საქართველოს გენერალურ
პროკურატურაში
გადაგზავნილი მასალები**

სსიპ დევნილთა მომსახურების სააგენტომ მხოლოდ სამუშაოების დასრულების შემდგომ¹³ მიმართა სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფაქტობრივად განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის შესატანხმებლად.

აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის¹⁴ სატენდერო დოკუმენტაციაში¹⁵ დაფიქსირდა არსებითი სახის ხარვეზები და დამატებითი შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება, შესაბამისი დანართის გარეშე, გაიზარდა 19 000 ლარით – 217 000 ლარამდე:

სადეზინფექციო მომსახურების ჩატარების მიმდინარეობისას, ობიექტების სადეზინფექციო სამუშაოების პარალელურად ახორციელებდნენ ფართების აზომვებს, თუმცა აზომვების დამადასტურებელი აქტები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სამუშაოების ჩატარება არ დადასტურებულა აქტით, შესრულებულ სამუშაოებზე ფორმის მიხედვით, რაც მიანიშნებს, რომ არ შესრულდა სატენდერო დოკუმენტაციის პირობები.

სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, არასრულყოფილად შედგენილი აქტების, მითითებული ვადების გათვალისწინებით და ჩატარებული სამუშაოების საექვო მოცულობებიდან გამომდინარე, ფიქსირდება 107 750 ლარის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკები.

2021 წელს პროგრამების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულყოფილად შეუსრულებლობის პირობებში,¹⁶ მიმწოდებლებზე გადარიცხულმა თანხამ ჯამში შეადგინა 314 971 ლარი, რაც სულ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებით გახარჯული თანხის 67,1%-ია. ზემოაღნიშნული თანხიდან ფიქსირდება მატერიალური ფასეულობების დანაკლისი, შეუსრულებელი სამუშაო-მომსახურება და დასაზუსტებელი სამშენებლო სამუშაოები.

ზემოაღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტაცია ფინანსთა სამინისტროს მიერ გადაგზავნილია¹⁷ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, რაზეც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ორ შემთხვევასთან დაკავშირებით, გამოტანილია სასამართლოს დადგენილება სააგენტოს დაზარალებულად ცნობის შესახებ.

¹³ 2020 წლის 23 აპრილის N04/44 წერილი.

¹⁴ 2020 წლის 26 აგვისტოს გამოცხადებული NAT2000013033.

¹⁵ სატენდერო დოკუმენტის პუნქტი 2.2.1: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2018, 2019 და 2020 წლებში ტენდერში წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე პერიოდში, ანალოგიური, არანაკლებ, 200 000 ლარის ღირებულების სადეზინფექციო, სადერატიზაციო სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

¹⁶ 2 - ელექტრონული ტენდერი და 39 - გამარტივებული შესყიდვა.

¹⁷ 7 ოფიციალური წერილი.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1

უმაღლეს საბჭოს;

მთავრობის აპარატს;

ჯანდაცვის სამინისტროს;

განათლების სამინისტროს;

სსიპ – კულტურისა და სპორტის სააგენტოს;

იგპ სამინისტროს;

აფხაზეთის მინისტრის აპარატს;

რაციონალური გათვლებისა და ანალიზის საფუძველზე შესყიდვის საჭიროების განსაზღვრის მიზნით, შეიქმნას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრიორიტეტების ჩამოყალიბებას დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე და შესაბამის სამსახურებს (საფინანსო, შესყიდვები, ლოგისტიკა) შორის კომუნიკაციით განისაზღვრება შესასყიდი საქონლის/მომსახურების საჭირო რაოდენობა და მოცულობა.

რეკომენდაცია N2

უმაღლეს საბჭოს;

იგპ სამინისტროს;

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის ეტაპზე ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის სათანადო შესწავლას.

რეკომენდაცია N3

უმაღლეს საბჭოს;

მთავრობის აპარატს;

ჯანდაცვის სამინისტროს;

განათლების სამინისტროს;

სსიპ – კულტურისა და სპორტის სააგენტოს;

იგპ სამინისტროს;

დევენილთა მომსახურების სააგენტოს;

აფხაზეთის მინისტრის აპარატს;

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილ ტექნიკურ დავალებებში მიმწოდებლების მიმართ წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ისეთი რელევანტური მოთხოვნების ჩამოყალიბებას, რითაც შესაძლებელი იქნება მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობებისა და სანდოობის შეფასება.

რეკომენდაცია N4**უმაღლეს საბჭოს;****მთავრობის აპარატს;****ჯანდაცვის სამინისტროს;****განათლების სამინისტროს;****სსიპ – კულტურისა და სპორტის სააგენტოს;****იგპ სამინისტროს;****დევენილთა მომსახურების სააგენტოს;****აფხაზეთის მინისტრის აპარატს;**

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის საგამონაკლისო საშუალებებით განხორციელებისას ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს რისკების შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს არაეკონომიური ხარჯის გაწევის თავიდან აცილებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე – აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ხელმძღვანელობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტი მოიცავს 01.01.2020 – 31.12.2021 პერიოდს.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.
4. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის N23 დადგენილება „სახელმწიფო შესყიდვებში გამოყენებული კლასიფიკატორის (CPV) იმ კოდების განსაზღვრის თაობაზე, რომელთა მიმართაც არ დადგინდება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება“.
5. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.
6. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.
7. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია.
8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.
9. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“.
10. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს N3 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესი და პირობები“.
11. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“.
12. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე“.
13. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის N2 ბრძანება „თეთრი სიის წარმოების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე“.

14. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის N1 ბრძანება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“.
15. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის N27 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგია“.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად და შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
-)/ აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ დოკუმენტაციის შესწავლა-ანალიზი;
-)/ მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი);
-)/ ადგილზე დაკვირვება, დათვალიერება;
-)/ ძირითადი ანალიზური პროცედურები.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები (უმაღლესი საბჭო, მთავრობის აპარატი და სამინისტროები), რომლებიც ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ და სახელმწიფოს მიერ კანონით დელეგირებულ უფლებამოსილებებს.¹⁸

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებია:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იმულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო.
4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
5. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი.

სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე.

სამინისტროები სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებს.

2020-2021 წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან აფხაზეთის სამინისტროების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გადახდილმა თანხამ შეადგინა 7 846 514 ლარი.

ცხრილი N1. 2020 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შეფარდება მთლიან ხარჯებთან (საკასო შესრულება ლარებში)

მხარჯავის კოდი	მხარჯავი დაწესებულება	2020 ხარჯი სულ	2020 შესყიდვები	%
01 00	აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	2 386 532	288 223	12%
02 00	აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატი	1 745 380	366 659	21%
05 00	აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2 001 153	551 876	28%
06 00	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	3 573 537	379 557	11%
11 00	აფხაზეთის ა/რ იმულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო	2 498 954	295 880	12%
18 00	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	4 795 165	1 736 054	36%

¹⁸ საქართველოს კონსტიტუცია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	1 024 573	363 684	35%
ჯამი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	18 025 296	3 981 937	22%

ცხრილი N2. 2021 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შეფარდება მთლიან ხარჯებთან (საკასო შესრულება ლარებში)

მხარჯავის კოდი	მხარჯავი დაწესებულება	2021 ხარჯი სულ	2021 შესყიდვები	%
01 00	აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	2 892 357	310 886	11%
02 00	აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატი	1 981 547	382 772	19%
05 00	აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2 358 820	412 872	18%
06 00	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	4 252 981	664 508	16%
11 00	აფხაზეთის ა/რ იმუღებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო	4 166 797	628 992	15%
18 00	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	4 446 184	1 087 758	24%
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	1 396 183	376 784	27%
ჯამი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	21 494 873	3 864 576	18%

2. აუდიტის მიგნებები

2.1 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს უნდა ახორციელებდეს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.¹⁹ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული კანონის²⁰ მოთხოვნები (შესაფერისი ინფორმაციის შეგროვება, სათანადო შესწავლა და ანალიზი), რათა უზრუნველყოს რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.²¹

ფაქტობრივი გარემოება N1:

რვა²² შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის საჭიროებები არ განსაზღვრულა რაციონალური გათვლებისა და ანალიზის საფუძველზე. საჭირო შესყიდვების სწორად და რაციონალურად დასაგეგმად არ იყო ჩამოყალიბებული მართლზომიერი პრაქტიკა. აღნიშნულ პირობებში, აუდიტის ობიექტებზე სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმებს სხვადასხვა დროს 2020-2021 წლებში დაემატა, შესაბამისად, 309 და 354 ახალი პოზიცია შესყიდვის ახალი ობიექტის სახით, რაც თანხობრივად 874 040 ლარს და 1 118 100 ლარს შეადგენდა და შესყიდვის გეგმის თავდაპირველ ვერსიაში არ იყო გათვალისწინებული (დანართი N1).

დასკვნა

აუდიტის ობიექტებზე შესყიდვების სამსახურების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენის საკითხისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო, იქმნებოდა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

ფაქტობრივი გარემოება N2:

აუდიტის ობიექტებში დაფიქსირდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმასთან შედარებით საკასო შესრულების გადაჭარბების ფაქტები:

ცხრილი N3. 2020-2021 წლებში სახელმწიფო შესყიდვების გეგმებთან შედარებით საკასო შესრულების გადაჭარბება (ლარებში)

მხარჯავი ს კოდი	მხარჯავი დაწესებულება	გადაჭარბება 2020 წელი	CPV - კოდები	გადაჭარბება 2021 წელი	CPV - კოდები
01 00	აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	52 996	5	1 613	1
02 00	აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატი	285	2	-	-
18 00	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	300	1	895	3
06 00	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და	2 040	2	92	2

¹⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9.

²⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 6.

²¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

²² უმაღლესი საბჭო, მთავრობის აპარატი, ფინანსთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო, დევნილთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, სსიპ - კულტურისა და სპორტის სააგენტო და იუსტიციის სამინისტროს აპარატი.

	მასთან არსებული ორგანიზაციები				
06 27 01	სსიპ - კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო	1 298	3	2 050	10
11 00	აფხაზეთის ა/რ იმულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო	-	-	22 357	21
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	2 053	6	4 051	4
ჯამი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	58 972	19	31 058	41

დასკვნა

აუდიტის ობიექტებში შესყიდვების გეგმებთან მიმართებით დაფიქსირდა – ჯამში 90 030 ლარით გადაჭარბებული საკასო შესრულება, რაც გამოწვეული იყო შესყიდვების გეგმის მართვის პროცესში არსებული არასრულყოფილი კონტროლის მექანიზმებით და სახაზინო გადარიცხვების დროს დაშვებული შეცდომებით.²³

რეკომენდაცია N1

უმაღლეს საბჭოს;
მთავრობის აპარატს;
ჯანდაცვის სამინისტროს;
განათლების სამინისტროს;
სსიპ – კულტურისა და სპორტის სააგენტოს;
იგპ სამინისტროს;
აფხაზეთის მინისტრის აპარატს;

რაციონალური გათვლებისა და ანალიზის საფუძველზე შესყიდვის საჭიროების განსაზღვრის მიზნით, შეიქმნას ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრიორიტეტების ჩამოყალიბებას დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე და შესაბამის სამსახურებს (საფინანსო, შესყიდვები, ლოგისტიკა) შორის კომუნიკაციით განისაზღვრება შესასყიდი საქონლისა და მომსახურების საჭირო რაოდენობა და მოცულობა.

2.2 ბაზრის კვლევა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია მოქმედი კანონის²⁴ მოთხოვნების გათვალისწინებით, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით, ვალდებული იყო ჩატარებინა ბაზრის კვლევა, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებდა შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შედგენისას.

ორ შემთხვევაში²⁵ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა ან ჩატარებული კვლევა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული გარემოება არ ემსახურებოდა პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგად შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. პროცესი არ იყო

²³ მითითებულია არასწორი CPV კოდები.

²⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 6, „ე“ ქვეპუნქტი.

²⁵ უმაღლესი საბჭო და იგპ სამინისტრო.

ფორმალიზებული და ვერ დგინდებოდა, რომელი მეთოდით ხდებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.²⁶

ფაქტობრივი გარემოება N1:

იკპ სამინისტრომ 2021 წლის 6 დეკემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი²⁷ აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სახის 11 642 ლარის სამშენებლო მასალების შესასყიდად. დადგინდა, რომ სავარაუდო ღირებულება დასაბუთების გარეშე განისაზღვრა ბაზრის კვლევის ეტაპზე მოწოდებულ მინიმალურ ფასებზე 1 400 ლარით მეტი ღირებულებით. აღნიშნულით არ იქნა დაცული ეკონომიურობის პრინციპი.

ფაქტობრივი გარემოება N2:

აფხაზეთის ა/რ უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 12 თებერვალს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი²⁸ ბალანსზე რიცხული 9 ერთეული ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 983 388 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 5 პრეტენდენტმა, მათ შორის, მინიმალური შეთავაზების ღირებულებამ შეადგინა 269 094 ლარი, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 714 294 ლარით (72% - ით) ნაკლები. აუდიტის ობიექტებზე შესყიდვების სამსახურის მიერ საქმისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის პირობებში იქმნებოდა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

დასკვნა

რეკომენდაცია N2

უმაღლეს საბჭოს;

იკპ სამინისტროს:

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევის ეტაპზე ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის სათანადო შესწავლას.

2.3 სატენდერო პირობების, (სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის) ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: კანონის²⁹ მოთხოვნაა, რომ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით უნდა განსაზღვროს შემსყიდველმა ორგანიზაციამ, ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

ფაქტობრივი გარემოება N1: ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილ ტექნიკურ დავალებებში არ იყო მიმწოდებლების მიმართ წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ისეთი რელევანტური მოთხოვნები, რითაც შესაძლებელი

²⁶ მიწოდებული ფასების უმცირესი ან მაღალი ფასით ან/და კომბინირებული ფასი.

²⁷ NAT210022554.

²⁸ NAT210002899.

²⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

იქნებოდა მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობებისა და სანდოობის შეფასება.

კერძოდ, პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ მოთხოვნებში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების მატარებელი – არა საწარმო, არამედ საწარმოში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალია. შესაბამისად, ტექნიკური ცოდნის შეფასებისათვის საჭირო იყო მიმწოდებლისგან მოეთხოვათ ტექნიკური გამოცდილების არსებობის დასაბუთება ტენდერით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებით, რაც არ განხორციელებულა.

პრეტენდენტის ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შესაფასებლად არ იყო მოთხოვნილი ინფორმაცია საწარმოს ზომისა და აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დასაბუთების, თანამშრომლების, სახელმწიფოსა და საკუთარი მიმწოდებლების მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების თაობაზე.

პოტენციური მიმწოდებლის სანდოობის შესაფასებლად ტექნიკური დავალებით არ იყო მოთხოვნილი ცნობები საწარმოს ლიკვიდაციის მიმდინარეობის, გადახდისუნარიანობის საქმისწარმოების, დამკვეთის მიერ გაწეული რეკომენდაციებისა და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების შესახებ. შესყიდვების სატენდერო კომისიების არაჯეროვანი ქმედებების გამო, შეიქმნა ტენდერებში დაბალკვალიფიციური პრეტენდენტების მონაწილეობის რისკები. აუდიტორული პროცედურებით დაფიქსირდა, რომ:

-)/ უმაღლეს საბჭოში 2020 -2021 წლებში გამოცხადებული 12 ტენდერიდან, 7-ში – მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა და, შესაბამისად, უკონკურენტო გარემოში ჩატარებულ ტენდერებში საერთო ეკონომია დაფიქსირდა მხოლოდ 6%;
-)/ აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატში 2020-2021 წლებში განხორციელებული 13 ტენდერიდან, 9 შემთხვევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, ანუ ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში. შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და საბოლოო ღირებულებას შორის სხვაობა (ეკონომია) არ დაფიქსირებულა;
-)/ დევნილთა სამინისტროში 2020-2021 წლებში განხორციელებული 11 ტენდერიდან, 2 შემთხვევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა, ანუ ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში;
-)/ ჯანდაცვის სამინისტროში 2020-2021 წლებში გამოცხადებული 59 ელექტრონული ტენდერიდან, 27 შემთხვევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა და ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში. შესაბამისად, 27-დან 12 შემთხვევაში, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასა და საბოლოო შეთავაზებას შორის სხვაობა არ დაფიქსირებულა. გარდა ამისა, გამოცხადებული 59 ტენდერიდან, 13 – არ შემდგარა.

ფაქტობრივი გარემოება N2: უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 7 თებერვალს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი³⁰ ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. სატენდერო პირობებში წარმოდგენილი იყო მოთხოვნა მასზედ, რომ პრეტენდენტს, მინიმუმ, ერთი სერვისცენტრი მაინც უნდა ჰქონოდა 5 კმ-ის რადიუსში. აღნიშნული შეზღუდვის გამო, ტენდერში მონაწილეობა არავის არ მიუღია და, შესაბამისად, ტენდერი არ შედგა. მოგვიანებით კი, როცა ტენდერის³¹ ხელშეორედ გამოცხადებისას რადიუსად განისაზღვრა 7 კილომეტრი, ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა.

2021 წელს გამოცხადდა ტენდერი³² იმავე მომსახურებაზე, სადაც მდებარეობის დაშორების შეზღუდვა არ იყო მითითებული. შედეგად, ტენდერში 5-მა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და შესყიდვა განხორციელდა კონკურენტულ პირობებში. შესაბამისად, სატენდერო პირობების არარაციონალურად ჩამოყალიბებამ გამოიწვია ის, რომ ერთ შემთხვევაში ტენდერი არ შედგა, ხოლო მეორე შემთხვევაში ტენდერი ჩატარდა არაკონკურენტულ გარემოში.

ფაქტობრივი გარემოება N3: უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 20 აგვისტოს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი³³ ავტომანქანის³⁴ ძრავის შეკეთებაზე. აღნიშნულ ტენდერშიც მითითებული იყო მოთხოვნა შემსყიდველის 7 კმ-ის რადიუსში განლაგებაზე. მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა და, შესაბამისად, ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში.

ფაქტობრივი გარემოება N4: ფინანსთა სამინისტროს აგრარულ საკითხთა დეპარტამენტმა 2020 წლის 18 ნოემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი³⁵ „მდ. ენგურის ე.წ. „გამყოფი ხაზის“ ორივე მხარეს მცხოვრებ დევნილ ფერმერთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში თხილისა და ტყემლის ჯიშის ნერგების შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა. კომისიის სხდომის ოქმით, პრეტენდენტს მოეთხოვა წარმოედგინა ქართული ჯიშის ნერგების ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია და რეკომენდაციები მათი შემდგომი განვითარებისთვის, რომელიც გაცემული იქნებოდა კვალიფიციური (ლიცენზირებული) აგრარული მიმართულების რეგისტრირებული შესაბამისი დაწესებულების მიერ, თუმცა პრეტენდენტმა აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგინა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ იყო მოთხოვნილი ტექნიკური დოკუმენტაციით. შესაბამისად, აუდიტის ობიექტს არ ჰქონდა მისი დისკვალიფიკაციის საფუძველი, თუმცა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ტენდერის ჩაშლილად გამოცხადების თაობაზე. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების მოდულში ატვირთა მოთხოვნა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის³⁶ განხორციელებაზე, რაზეც მიიღო თანხმობა და საქონლის შეძენა განხორციელა ორი გამარტივებული შესყიდვით,³⁷ თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუდიტის ობიექტის მიერ გამარტივებული შესყიდვისას არ იქნა მოთხოვნილი ელექტრონული ტენდერის ჩაშლის საფუძვლად

³⁰ NAT200003182.

³¹ NAT200004116.

³² NAT210002899.

³³ NAT200012496.

³⁴ „შკოდა ოქტავია“ სახელმწიფო ნომრით: MM094FF.

³⁵ NAT200017337.

³⁶ SMP200004861.

³⁷ CMR200141133 და CMR200142143.

გამოყენებული ლიცენზირებული ორგანიზაციის დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა განმარტებული, რატომ მიენიჭა ლიცენზირებულ დოკუმენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ელექტრონული ტენდერის ჩატარების დროს, მაშინ როდესაც გამარტივებული შესყიდვებისას აღნიშნული დოკუმენტი მოთხოვნილი არ ყოფილა.

ფაქტობრივი გარემოება N5: განათლების სამინისტრომ 2021 წლის 12 აგვისტოს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი³⁸ მობილური აპლიკაციის – „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის“ შესყიდვაზე. ტენდერი შეწყდა სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენის გამო, კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი და ვერ განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი პუნქტის³⁹ სწორი ფორმულირება.

ფაქტობრივი გარემოება N6: სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ 2020 წლის 26 ნოემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი⁴⁰ ბეჭდვით მომსახურებაზე, რომელიც სატენდერო პირობების არასწორად წარმოდგენის შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით შეწყდა. კონკრეტულად, სატენდერო კომისიის წევრმა⁴¹ სატენდერო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იყო მოთხოვნა გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში დაშვებული ტექნიკური შეცდომის შესახებ. კერძოდ, წინადადების მიღება 2021 წლის 4 იანვარს არ შეესაბამებოდა რეალობას და, შესაბამისად, „ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ სახელმწიფო შესყიდვა ვერ განხორციელდებოდა აღნიშნული თარიღის პირობებში.

ფაქტობრივი გარემოება N7: დევნილთა სამინისტრომ 2021 წლის 9 ივლისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი⁴² საქართველოს ტერიტორიაზე დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების ბრტყელი სახურავების, ქანობიანი სახურავების და წყალსაწრეტი მილების შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე. აღნიშნული ტენდერის ჩატარებამდე სამინისტრომ 4 900 ლარად შეისყიდა პროგრამების სააგენტოსგან მომსახურება,⁴³ რომელიც გულისხმობდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2021 წლის ასიგნებების ფარგლებში, დევნილთა ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამებით განსახორციელებელი სახლების ბრტყელი სახურავების, ქანობიანი სახურავების და წყალსაწრეტი მილების შესაკეთებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვებისა და დეფექტური აქტების შედგენას. სწორედ აღნიშნული დეფექტური აქტების კონსოლიდირებით უნდა მომხდარიყო მოცულობითი ტენდერის გამოცხადება და შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა. დეფექტური აქტების საფუძველზე საქართველოს მასშტაბით დევნილთა სხვადასხვა ჩასახლებაში სატენდერო პირობებში განისაზღვრა შემდეგი მოცულობები:

) ქანობიანი სახურავების სარემონტო სამუშაოები – 32 574 ლარი;

³⁸ NAT210015382.

³⁹ 2.2.1. პუნქტი – მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ.

⁴⁰ NAT200017963.

⁴¹ სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს აპარატის უფროსი.

⁴² NAT210011723.

⁴³ CMR210079886.

)/ ბრტყელი სახურავის სარემონტო სამუშაოები – 32 160 ლარი;

)/ წყალსაწრეტი მილების სარემონტო სამუშაოები – 8 265 ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა და გამარჯვებულად გამოცხადდა მინიმალური ფასის მქონე ი/მ ნუგზარ ლომიძე, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, შესრულებული სამუშაოების აქტებით და ასევე ესპერტიზის დასკვნებით, აღნიშნული სამუშაოები განაწილდა შემდეგნაირად:

)/ ქანობიანი სახურავების სარემონტო სამუშაოები – 42 373 ლარი;

)/ ბრტყელი სახურავის სარემონტო სამუშაოები – 30 150 ლარი;

)/ წყალსაწრეტი მილების სარემონტო სამუშაოები – 193 ლარი.

ხელშეკრულებაში შევიდა 2 ცვლილება, რითაც შეიცვალა მოცულობების სტრუქტურა და შესაბამისობაში მოვიდა შესრულებული სამუშაოების აქტთან.

ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე შესყიდული მომსახურება დეფექტური აქტების შედგენაზე, რომელიც საბოლოო ჯამში შესასყიდი სამუშაოების მოცულობის, სტრუქტურის და ფასის განმსაზღვრელი იყო, აღმოჩნდა არარელევანტური. დეფექტური აქტები არ შეესაბამებოდა რეალობას, რადგან მათი მიხედვით:

)/ ქანობიანი სახურავის საჭირო მოცულობად განისაზღვრა 32 574 ლარის სამუშაო, ანუ რეალურზე 9 800 ლარით ნაკლები;

)/ ბრტყელი სახურავის საჭირო მოცულობად განისაზღვრა 32 160 ლარის სამუშაო, ანუ რეალურზე 2 010 ლარით მეტი;

)/ წყალსაწრეტი მილების სარემონტოდ საჭირო მოცულობად განისაზღვრა 8 265 ლარის სამუშაო, ანუ რეალურზე 8 072 ლარით მეტი.

გამარტივებული შესყიდვით⁴⁴ მიღებული მომსახურება დეფექტური აქტების შედგენაზე, არ შეესაბამებოდა რეალობას და მისი არარელევანტურობის გამო, სატენდერო დოკუმენტაციაც განისაზღვრა არასწორად.

დასკვნა

სატენდერო პირობების განსაზღვრაში დაშვებული შეუსაბამოების გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა.

რეკომენდაცია N3

უმაღლეს საბჭოს;

მთავრობის აპარატს;

ჯანდაცვის სამინისტროს;

განათლების სამინისტროს;

სსიპ – კულტურისა და სპორტის სააგენტოს;

იგპ სამინისტროს;

დევნილთა მომსახურების სააგენტოს;

აფხაზეთის მინისტრის აპარატს;

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და დანერგონ ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილ ტექნიკურ დავალებებში მიმწოდებლების მიმართ წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ისეთი რელევანტური მოთხოვნების ჩამოყალიბებას, რითაც შესაძლებელი იქნება მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობებისა და სანდოობის შეფასება.

⁴⁴ CMR210079886.

2.4 ინტერესთა კონფლიქტი

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლები ასრულებდნენ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ ისეთ საქმიანობებს,⁴⁵ რომლებსაც მოქმედი კანონით⁴⁶ ეხება ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე ინფორმაციის გამჟღავნება.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მიმწოდებლის ვინაობა, კანონით დადგენილი ვალდებულების⁴⁷ მიუხედავად, შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლებს წერილობით არ დაუდასტურებიათ, რომ შესყიდვის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევდა ინტერესთა კონფლიქტს.

ფაქტობრივი გარემოება N1: განათლების სამინისტროს მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 30 შემთხვევიდან, 26 შემთხვევაში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ განათლების სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო უშუალოდ შესყიდვის პროცესში მონაწილე პირების ხელმოწერები, არ ფიქსირდებოდა.

ფაქტობრივი გარემოება N2: სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეულ 32 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარმოდგენილი იყო სააგენტოს დირექტორის ხელმოწერა, ხოლო შესყიდვების კოორდინატორის ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

ფაქტობრივი გარემოება N3: დევნილთა სამინისტროს მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 60 შემთხვევიდან, 36 შემთხვევაში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო შესყიდვების მიმართულებით დასაქმებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

დასკვნა

მოქმედი კანონის⁴⁸ მოთხოვნების გაუთვალისწინებლობითა და არასათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობის გამო, შეიქმნა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რისკები.

2.5 გამარტივებული შესყიდვა

კრიტერიუმი: სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში ჩატარების საფუძველით განხორციელებული შესყიდვები უნდა ემსახუროდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, თავდაცვით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო ან სხვა საჯარო მიზნების მიღწევას. შესაძლებელია შეზღუდული დროის გამო, ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული შესყიდვის ობიექტების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის პროცედურების მეშვეობით იწვევდეს ამ ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და ხელს უშლიდეს მის უწყვეტად ჩატარებას. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი

⁴⁵ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვა, შერჩევა და შეფასება; ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა.

⁴⁶ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

⁴⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴⁸ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი.

ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს ღონისძიების არსებითი შეფერხებით ჩატარებას, ჩაშლას ან/და მისი უწყვეტად ჩატარების ხელშეშლას.⁴⁹

ფაქტობრივი გარემოება N1: დევნილთა სამინისტრომ 2021 წლის 17 ივნისს შესყიდვების სააგენტოს მიმართა⁵⁰ გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის უფლების მოსაპოვებლად, რაც გულისხმობდა სამინისტროს მიერ დევნილთა ჩასახლებაში⁵¹ ხანძრის შედეგად დაზიანებულ სართულებზე ელექტროენერგიის გაყვანილობის აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შესყიდვას. შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 23 142 ლარი. სამინისტრომ სააგენტოსგან მიიღო თანხმობა მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ, თუმცა მომდევნო 2 თვის განმავლობაში აღნიშნული მომსახურების შემენა არ მომხდარა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოგვიანებით, 2021 წლის 11 აგვისტოს თავიდან იქნა მოთხოვნილი ისევ გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის ნებართვა,⁵² ამჯერად, 24 999 ლარზე.

დასკვნა

დევნილთა ჩასახლებაში ხანძრის შედეგად დაზიანებულ სართულებზე ელექტროენერგიის გაყვანილობის აღდგენითი სამუშაოები არ განხორციელებულა გამარტივებული წესით შესყიდვის განხორციელების ნებართვის მოპოვებიდან 2 თვის განმავლობაში. შესაბამისად, აუდიტის ობიექტის მიერ გადაუდებელი აუცილებლობა უსაფუძვლოდ იქნა მოთხოვნილი, რადგან, თუ 2 თვის განმავლობაში ვერ შესრულდებოდა ელექტროგაყვანილობის აღდგენის სამუშაოების დაწყება, მაშინ ადვილად შეიძლებოდა შესყიდვის ობიექტის ელექტრონული ტენდერით შემენა. ყოველივე ზემოაღნიშნულით, ფიქსირდება საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური, არარაციონალური ხარჯვა.

ფაქტობრივი გარემოება N2: სსიპ – კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს მიერ გამარტივებული შესყიდვის⁵³ საშუალებით შესყიდულ იქნა სააგენტოს ბალანსზე არსებული ფართის მე-5 სართულზე განლაგებული 4 ოთახის შეღებვის მომსახურება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 1 500 ლარს. 2020 წლის 9 ივლისს ასევე გაფორმდა შესყიდვების ხელშეკრულება,⁵⁴ იმავე მომსახურებაზე მე-2 და მე-3 სართულებზე, რომლის ღირებულება შეადგენდა 2 000 ლარს. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – შესყიდვების კოორდინატორი. დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული მომსახურებები შესყიდულ იქნა მომწოდებლისგან, რომელიც ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა სააგენტოს შესყიდვების კოორდინატორთან. შესაბამისად, არ იქნა დაცული – მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები.

⁴⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 4, პუნქტი 7.

⁵⁰ SMP210001715.

⁵¹ ქ. თბილისი, პეკინის ქ. N41.

⁵² SMP210002252.

⁵³ CMR200084379.

⁵⁴ CMR200084379.

დასკვნა

სააგენტოში გამარტივებული შესყიდვების საფუძვლებით შესყიდვების განხორციელების პროცესში კონტროლის სუსტმა გარემომ ვერ უზრუნველყო ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილება.

რეკომენდაცია N4

უმაღლეს საბჭოს;
მთავრობის აპარატს;
ჯანდაცვის სამინისტროს;
განათლების სამინისტროს;
სსიპ – კულტურისა და სპორტის სააგენტოს;
იგპ სამინისტროს;
დევნილთა მომსახურების სააგენტოს;
აფხაზეთის მინისტრის აპარატს;

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის საგამონაკლისო საშუალებებით განხორციელებისას, ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს რისკების შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს არაეკონომიური ხარჯის გაწევის თავიდან აცილებას.

**2.6 შესრულებული სამუშაოს
ხარისხისა და საგარანტიო
ვადების ნაკლოვანებები**

კრიტერიუმი: მოქმედი წესის⁵⁵ მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილი იყო გაეწია კონტროლი სატენდერო ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლის და მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით, რათა დაედგინა შესასრულებელი/შესრულებული სამუშაოს რაოდენობის/მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ფაქტობრივი გარემოება: დევნილთა სამინისტრომ 2020 წელს განახორციელა 78 380 ლარის ღირებულების სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ჩაიბარეს საექსპერტო დასკვნისა და ინსპექტირების ჯგუფის შეფასების გარეშე, თუმცა აუდიტის ჯგუფის მიერ შესრულებული პროექტების ადგილზე დათვალიერების შედეგად, გამოვლინდა ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზები და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით.

ობიექტების მიხედვით შესრულებული სარემონტო სამუშაოების ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღიწერა ფაქტობრივი მდგომარეობა, შედარდა შესაბამისი ობიექტის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე თანდართული და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულ სამუშაოთა ნუსხა, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტებს და სხვა დოკუმენტებს, რის შედეგად 11 შემთხვევაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა, რაც ძირითადად უკავშირდებოდა სამუშაოების უხარისხოდ და არასრულად შესრულებას. ამასთანავე, ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ობიექტებზე 4 100 ლარამდე სამუშაოების შესრულება არ დადასტურდა.

დასკვნა: შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ხარისხი სარემონტო ობიექტების მიხედვით დადებული ხელშეკრულების მოთხოვნებს არ შეესაბამება და საბიუჯეტო სახსრები ისეა გახარჯული, რომ სრულად და ეფექტიანად არ არის

⁵⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 37, პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტები.

2.7 დეზინფექციასა და დეზინფექციასთან დაკავშირებული მომსახურებების ელექტრონულ შესყიდვებში გამოვლენილი ხარვეზები

მიღწეული პროგრამით დასახული მიზნები. აღნიშნული ფაქტი დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში.⁵⁶

კრიტერიუმი: კანონის⁵⁷ მოთხოვნაა, რომ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით უნდა განსაზღვროს შემსყიდველმა ორგანიზაციამ, ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის.

„ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების საფუძველზე, აფხაზეთის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამაში (18 03 03) დამატებული 35 000 ლარი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებს მიწერაღებული რესურსების სააგენტოს დაევალა ქალაქებში: თბილისსა და რუსთავეში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებებში 150 000 კვ.მ ფართობზე სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

დეზინფექციასა და დეზინფექციასთან დაკავშირებული მომსახურებები აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიწერაღებული რესურსების სააგენტოს (2020 წელს) და რეორგანიზაციის შემდეგ მისი სამართალმემკვიდრის – სსიპ – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა მომსახურების სააგენტოს (2021 წელს) მიერ ჩატარებულია ოთხ ეტაპად.⁵⁸

ფაქტობრივი გარემოება 2020 წელი

I - CMR200062611 – გამარტივებული შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით.

2020 წლის 10 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N17 ხელშეკრულების მიხედვით, ქ. თბილისში მდებარე ობიექტებში, შპს „სისუფთავის სერვისს“, 110 000,0 კვ.მ-ზე ერთჯერადად უნდა ჩატარებინა 22 000 ლარის ღირებულების სადეზინფექციო სამუშაოები. ყველა საჭირო ღონისძიების განსახორციელებლად ზედამხედველობის და კოორდინაციის ვალდებულება ზეპირი ბრძანებით დაევალა⁵⁹ სააგენტოს პასუხისმგებელ პირებს.⁶⁰

შეთანხმების აქტით, ქ.თბილისის ობიექტებს დაემატა ქ. ხონის ობიექტები და სულ – 124 575 კვ.მ-ზე ჩასატარებელი სადეზინფექციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 24 915 ლარი. შედგენილ ხელშეკრულებასთან და შეთანხმებასთან ერთად არ იყო წარმოდგენილი იმ ობიექტების ნუსხა, სადაც უნდა ჩატარებულიყო შესაბამისი სამუშაოები. იმავე დღესვე, სააგენტოსა და შპს „სისუფთავის სერვისს“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ ქ.თბილისში 196

⁵⁶ აფხაზეთის ა/რ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროში „დევილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში დახარჯული საბიუჯეტო სახსრების აუდიტის ანგარიში.

⁵⁷ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

⁵⁸ I - CMR200062611 – გამარტივებული შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით.

II - NAT2000013033 - ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

III - CMR210027621 - გამარტივებული შესყიდვა.

IV - NAT210016589 - ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

⁵⁹ სსიპ - აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის, ილია აბლოთიას განმარტება.

⁶⁰ დირექტორის მოადგილეს, შ. პ.-ს და გეოლოგიური განყოფილების უფროსს, ჯ.ქ.-ს.

ობიექტზე (120 750 კვ.მ) და ქ. ხონში – 17 ობიექტზე (4 500 კვ.მ) ჩატარებული სადებიზინფექციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 24,915 ლარი.

დანართში მითითებული ჩატარებული სამუშაოების ნუსხიდან ქ. ხონში მითითებულია 17 ობიექტი, სულ – 4500 კვ.მ. ფართით (მისამართების გარეშე). წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება, თუ რომელ ობიექტებში ჩატარდა სადებიზინფექციო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 900 ლარი (სამუშაოები ჩატარდა 14 სამუშაო დღეში, ანუ ერთ დღეში სამუშაოები ჩატარდა 8 305 კვ.მ-ზე).

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტების დასახელებისა და თარიღების მითითებით შესრულებული სამუშაოების აქტები არ არის შედგენილი.

სააგენტომ მხოლოდ სამუშაოების დასრულების შემდგომ⁶¹ მიმართა სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფაქტობრივად განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის შესატანხმებლად.

II - NAT2000013033 – ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე

სადებიზინფექციო მომსახურებებთან დაკავშირებით 2020 წლის 26 აგვისტოს გამოცხადებულ აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის⁶² სატენდერო დოკუმენტაციაში⁶³ დაფიქსირდა შემდეგი სახის ხარვეზები:

- ელექტრონული ტენდერის ჩასატარებლად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შედგენილ ტექნიკურ დავალებაში არ იყო მიმწოდებლების მიმართ წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ისეთი რელევანტური მოთხოვნები, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების, ფინანსურ-ტექნიკური შესაძლებლობებისა და სანდოობის შეფასება.

კერძოდ, პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ მოთხოვნებში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ტექნიკური ცოდნა-გამოცდილების მატარებელია არა საწარმო, არამედ საწარმოში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. შესაბამისად, ტექნიკური ცოდნის შეფასებისათვის საჭირო იყო მიმწოდებლისგან მოეთხოვათ ტექნიკური გამოცდილების არსებობის დასაბუთება, ტენდერით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებით. აღნიშნული ქმედება არ განხორციელებულა.

პრეტენდენტის ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შესაფასებლად არ იყო მოთხოვნილი ინფორმაცია საწარმოს ზომისა და აღჭურვილობის, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის დასაბუთების, თანამშრომლების, სახელმწიფოსა და საკუთარი მიმწოდებლების მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების, კონკრეტული მოცულობის პროექტის განხორციელების ზოგადი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საწარმოს ბრუნვის თაობაზე. ასევე არ ყოფილა მოთხოვნილი ცნობები იმის

⁶¹ 2020 წლის 23 აპრილის N04/44 წერილი.

⁶² NAT200013033.

⁶³ სატენდერო დოკუმენტის პუნქტი 2.2.1. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს 2018, 2019 და 2020 წლებში ტენდერში წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე პერიოდში, ანალოგიური, არანაკლებ, 200 000 ლარის ღირებულების სადებიზინფექციო, სადერატიზაციო სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

შესახებ, რომ არ მიმდინარეობს საწარმოს ლიკვიდაცია და გადახდისუნარიანობის საკმისწარმოება.⁶⁴

2020 წლის 25 ნოემბერს დამატებითი შეთანხმებით სახელმწიფო ღირებულება შესაბამისი დანართის გარეშე, 217 000 ლარამდე გაიზარდა 19 000 ლარით:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი N32-1, 05.10.2020 წ. – I ეტაპი: 18 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით (14 დღე) – სადებიზინფექციო სამუშაოები ჩატარებულია 1 225 ობიექტზე, 590 289 კვ.მ-ზე – 97 398 ლარი (ანუ დღეში – 42 163 კვ.მ);

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი N32-1, 05.10.2020 წ. – II ეტაპი: 23 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით (15 დღე) – სადებიზინფექციო სამუშაოები ჩატარებულია 1 225 ობიექტზე, 590 289 კვ.მ-ზე – 97 398 ლარი (ანუ დღეში – 39 353 კვ.მ);

გ) მიღება-ჩაბარების აქტი N32-3, 30.11.2020 წ. – III ეტაპი: 26 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით (5 დღე) – სადებიზინფექციო სამუშაოები ჩატარებულია 231 ობიექტზე, 131 825 კვ.მ-ზე – 21 751 ლარი (ანუ დღეში – 4 350 კვ.მ).

აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით,⁶⁵ სადებიზინფექციო მომსახურების ჩატარების მიმდინარეობისას ობიექტების სადებიზინფექციო სამუშაოების პარალელურად ახორციელებდნენ ფართების აზომვებს, თუმცა აზომვების დამადასტურებელი აქტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

სამუშაოების ჩატარება არ დადასტურებულა აქტით შესრულებულ სამუშაოებზე ფორმის მიხედვით, რაც სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პირობების შეუსრულებლობაზე მიუთითებს.

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წელი

III - CMR210027621 – გამარტივებული შესყიდვა;

CMR210027621 - CPV 90921000 – დეზინფექციასა და დეზინფექციასთან დაკავშირებული მომსახურებები: შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტი“ (204558362) – ხელშეკრულება N4, 25.01.2021 წ. – 27 781 ლარი;

2021 წლის 5 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, სადებიზინფექციო სამუშაოები 2021 წლის 27 იანვრიდან იმავე წლის 5 თებერვლის ჩათვლით პერიოდში ჩატარებულია სამეგრელოში – 152 ობიექტზე, 94 780,0 კვ.მ-ზე, იმერეთში – 88 ობიექტის 73 591 კვ.მ-ზე, სულ – 168 371 კვ.მ-ზე 10 დღეში, ანუ ერთ დღეში – 16 837 კვ.მ-ზე;

ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი სსიპ – შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვა გამარტივებული შესყიდვის გადაუდებელ აუცილებლობაზე.

კორონავირუსის ეპიდემიის საფრთხის გაგრძელების გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობის წინაპირობები არ ფიქსირდება და, შესაბამისად, შესაძლებელი იყო სახელმწიფო შესყიდვების ჩატარება ელექტრონული ტენდერით.

IV - NAT210016589 – ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

საქართველოს რეგიონებში განთავსებულ დევნილთა კომპაქტური განსახლების 1 225 ობიექტში 590 289 კვ.მ-ზე, ერთჯერადად ჩასატარებელ სამუშაოებზე

⁶⁴ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერების ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი; მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი.

⁶⁵ 2022 წლის 11 აპრილის განმარტება.

გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი – 106 252 ლარის სავარაუდო ღირებულებით.

2021 წლის 4 ოქტომბერს გაფორმდა N10 ხელშეკრულება შპს „დრ.როდგერ სერვის მენეჯმენტთან“, რომლის ღირებულებამ შეადგინა 98 578 ლარი. აღნიშნულ ხელშეკრულებაში 2021 წლის 28 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით, სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 86 350 ლარის ოდენობით.

შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის გაანალიზებით, დადგინდა, რომ ვებგვერდზე ფიქსირდება:

1. მიღება-ჩაბარების აქტი N10, 11.12.2021 წ., ქ.თბილისი, 10 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით – 610 ობიექტზე (565 563 კვ.მ) – 94 115 ლარის სამუშაოების ღირებულება; აღნიშნული აქტი ვებგვერდზე აიტვირთა შესყიდვის დღეს, 2021 წლის 16 ნოემბერს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი გაუქმებულია.
2. მიღება-ჩაბარების აქტი N11-1, 28.12.2021 წ., ქ. თბილისში, 10 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით – 610 ობიექტზე 39 972 ლარის სამუშაოების ღირებულება (სამუშაოები ჩატარდა 239 355 კვ.მ-ზე, ანუ ერთ დღეში შესრულებულია სამუშაოები 9 574,2 კვ.მ-ზე). ინფორმაცია ატვირთულია ვებგვერდზე 2022 წლის 22 თებერვალს, ანუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ.
3. მიღება-ჩაბარების აქტი N11-2, 28.12.2021 წ., რეგიონებში, 10 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით – 495 ობიექტზე 46 378 ლარის სამუშაოების ღირებულება (ასახულია სამუშაოების ჩატარება 277 713 კვ.მ-ზე, ანუ ერთ დღეში – 11 108 კვ.მ-ზე). ინფორმაცია ატვირთულია 2022 წლის 23 თებერვალს, ანუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი თვეზე მეტი ხნის შემდეგ.⁶⁶
4. მიღება-ჩაბარების აქტებისა და ფაქტობრივი გადახდების შედარებით ფიქსირდება კრედიტორული დავალიანება 46 378 ლარი, რაც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაშიც.
5. მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებულ 70 ობიექტში ფართობი⁶⁷ ორჯერაა ასახული.

სადეზინფექციო სამუშაოების ჩასატარებლად საბიუჯეტო პროგრამის – „დევენილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში კომპლექსური კვლევების განხორციელება, გასატარებელი ღონისძიებების დასახვა და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება“, ფარგლებში სააგენტომ 2021 წელს სხვადასხვა დროს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დაასაქმა და შესრულებულ სამუშაოს ანაზღაურების სახით 21 400 ლარი გადაუხადა ხუთ ფიზიკურ პირს,⁶⁸ რომელთა მონაწილეობა სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებაში არც მიღება-ჩაბარების აქტებით და არც ინდივიდუალური შესრულებული აქტებით არ დასტურდება.

შრომითი ხელშეკრულება შედგენილია ხარვეზებით, კერძოდ, ხელშეკრულების გაფორმების საფუძვლები (ბრძანება N8, 19/04-21) გაცემულია ხელშეკრულების (N02-2) გაფორმებიდან 19 დღის შემდეგ.

⁶⁶ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერების ჩატარების წესის“ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁷ 10 607 ლარის 63 377 კვ. მ.

⁶⁸ ფიზიკური პირები: ზ. გ. დ. გ., ა. ვ., გ. ნ., ვ. ქ.

წარმოდგენილია შესრულებულ სამუშაოებზე შვიდი აქტი, რომლებიც შედგენილია ხარვეზებით და საექვოდ ხდის მათ ნამდვილობას შემდეგი მიზეზების გამო:

-)/ ორ დღეში დეზინფექცია ჩატარდა თბილისის სხვადასხვა რაიონში მდებარე 193 შენობის 66 350 კვ.მ ფართზე. არ ფიქსირდება⁶⁹ მითითებული სამუშაოების შესრულებაში მონაწილე ყველა პირის ხელმოწერა, ამასთანავე, აქტში მითითებული ექიმის⁷⁰ ნაცვლად, ხელს აწერს სხვა პიროვნება – დეზინფექტორი;⁷¹
-)/ ერთ დღეში დეზინფექცია ჩატარდა მცხეთაში, სხვადასხვა მისამართზე მდებარე 2 შენობის 1 240 კვ.მ ფართზე. არ ფიქსირდება აქტში⁷² მითითებული სამუშაოების შესრულებაში მონაწილე ყველა პირის ხელმოწერები, ამასთანავე, აქტში მითითებული ექიმის⁷³ ნაცვლად, ხელს აწერს სხვა პიროვნება – დეზინფექტორი;⁷⁴
-)/ ერთ დღეში დეზინფექცია ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონში სხვადასხვა მისამართზე მდებარე 60 შენობის 42 250 კვ.მ ფართზე. არ ფიქსირდება აქტში⁷⁵ მითითებული სამუშაოების შესრულებაში მონაწილე ყველა პირის ხელმოწერა, ამასთანავე, აქტში მითითებული ექიმის⁷⁶ ნაცვლად, ხელს აწერს სხვა პიროვნება – დეზინფექტორი;⁷⁷
-)/ ერთ დღეში დეზინფექცია ჩატარდა კახეთის რეგიონში სხვადასხვა მისამართზე მდებარე 4 შენობის 2 850 კვ.მ ფართზე. აქტში⁷⁸ მითითებული ექიმის⁷⁹ ნაცვლად ხელს აწერს სხვა პიროვნება – დეზინფექტორი;⁸⁰
-)/ არ ფიქსირდება აქტში⁸¹ მითითებული სამუშაოების შესრულებაში მონაწილე ყველა პირის ხელმოწერა, ამასთანავე, აქტში მითითებული ექიმის⁸² ნაცვლად ხელს აწერს სხვა პიროვნება – დეზინფექტორი.⁸³

ზემოაღნიშნული ხარვეზები ფიქსირდება იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში შესრულებული სამუშაოების აქტებშიც.

დასკვნა

სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, არასრულყოფილად შედგენილი აქტების, მითითებული ვადების გათვალისწინებით ჩატარებული სამუშაოების საექვო მოცულობებიდან გამომდინარე, ფიქსირდება 107 750 ლარის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკები.

2.8 აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა – შესაძლო დანაშაულის შემცველ ფაქტებთან დაკავშირებით და

2021 წელს სსიპ – პროგრამების და სერვისების სააგენტოში განხორციელდა სულ 139 სახელმწიფო შესყიდვა და გაიხარჯა 469 702 ლარი, კერძოდ:

1. 10 კონსოლიდირებული შესყიდვა – 20 137 ლარის საკასო ხარჯით.

⁶⁹ 2021 წლის 6 ოქტომბრის აქტი.

⁷⁰ ფიზიკური პირი ი. გ.

⁷¹ ფიზიკური პირი ბ.ჯ.

⁷² 2021 წლის 20 ოქტომბრის აქტი.

⁷³ ფიზიკური პირი ა. გ.

⁷⁴ ფიზიკური პირი ბ. კ.

⁷⁵ 2021 წლის 17 ოქტომბრის აქტი.

⁷⁶ ფიზიკური პირი ა. გ.

⁷⁷ ფიზიკური პირი ბ. კ.

⁷⁸ 2021 წლის 17 ოქტომბრის აქტი.

⁷⁹ ფიზიკური პირი ა. გ.

⁸⁰ ფიზიკური პირი ტ. გ.

⁸¹ 2021 წლის 20 ოქტომბრის აქტი.

⁸² ა. გ.

⁸³ ბ. კ.

**საქართველოს გენერალურ
პროკურატურაში
გადაგზავნილი მასალები**

2. 3 ელექტრონული ტენდერი – 178 281 ლარის საკასო ხარჯით.
3. 126 გამარტივებული შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკება) – 271 283 ლარის საკასო ხარჯით.

აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულყოფილად შეუსრულებლობის პირობებში (2 ელექტრონული ტენდერი და 39 გამარტივებული შესყიდვა) მიმწოდებლებზე გადარიცხულმა თანხამ ჯამში შეადგინა 314 971 ლარი, რაც სულ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებით გახარჯული თანხის 67,1%-ია. ზემოაღნიშნული თანხიდან ფიქსირდება:

1. მატერიალური ფასეულობების დანაკლისი – 156 257 ლარი.
2. შეუსრულებელი მომსახურება და სამუშაოები – 25 798 ლარი.
3. დასაზუსტებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობა (მიმდინარეობს საქართველოს პროკურატურის მიერ დანიშნული ექსპერტიზა) – 132 916 ლარი.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ფინანსთა სამინისტროს მიერ (7 წერილით) გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ორ შემთხვევაში⁸⁴ გამოტანილია საქართველოს გენერალური პროკურატურის დადგენილება სააგენტოს დაზარალებულად ცნობის შესახებ. აუდიტის პროცესში არ იყო შესაძლებელი საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების გამოსატანად.

დასკვნა

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,⁸⁵ აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე.

აუდიტორები

ხელმოწერა

ნოდარ გაბედავა
წამყვანი აუდიტორი



ფრიდონ დონაძე
უფროსი უდიტორი



საბა გაწერელია
აუდიტორი



⁸⁴ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 7 აგვისტოს NSX0001693659WN, 2021 წლის 5 ნოემბრის NZZ0002041661ZH დადგენილებები დაზარალებულად ცნობის შესახებ.

⁸⁵ შესაბამისი აუცილებელი დოკუმენტაცია გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

დანართი

დანართი. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილებები

2020 წლის გეგმის ცვლილებები

ორგანიზაცია	თავდაპირველი გეგმა	დამატებული კოდები	დამატებული კოდები (თანხა)	ცვლილებები თავდაპირველ კოდებში (რაოდენობა)	ცვლილებები თავდაპირველ კოდებში (თანხობრივად)	საბოლოო გეგმა	ცვლილების %
უმაღლესი საბჭო	557 080	32	42 319	78	-121 519	477 880	-14%
მთავრობის აპარატი	434 600	36	21 645	240	-87 575	368 670	-15%
ფინანსთა სამინისტრო	164 068	39	22 427	111	-41 491	145 004	-12%
განათლების სამინისტრო	230 716	7	6 230	95	-117 406	119 540	-48%
სსიპ - კულტურისა და სპორტის სააგენტო	86 629	49	83 023	44	22 800	192 452	122%
დევენილთა სამინისტრო	84 366	58	181 830	135	30 298	296 494	251%
ჯანდაცვის სამინისტრო	1 301 216	42	394 500	94	-212 139	1 483 577	14%
იუსტიცია	238 450	46	122 070	202	28 345	388 865	63%
ჯამი	3 097 125	309	874 044	999	-498 687	3 472 482	

2021 წლის გეგმის ცვლილებები

ორგანიზაცია	თავდაპირველი გეგმა	დამატებული კოდები	დამატებული კოდები (თანხა)	ცვლილებები თავდაპირველ კოდებში (რაოდენობა)	ცვლილებები თავდაპირველ კოდებში (თანხობრივად)	საბოლოო გეგმა	ცვლილების %
უმაღლესი საბჭო	258 840	35	33 086	45	82 427	374 353	45%
მთავრობის აპარატი	394 400	32	121 502	185	-137 202	378 700	-4%
ფინანსთა სამინისტრო	140 580	34	26 862	31	2 667	170 109	21%
განათლების სამინისტრო	53 300	69	152 182	41	41 255	246 737	363%
სსიპ - კულტურის და სპორტის სააგენტო	345 580	24	20 019	29	-72 825	292 774	-15%
დევენილთა სამინისტრო	260 090	71	499 456	83	-11 914	747 632	187%
ჯანდაცვის სამინისტრო	621 420	37	184 870	83	-274 683	531 607	-14%
იუსტიცია	1 113 997	52	80 062	234	-803 903	390 156	-65%
ჯამი	3 188 207	354	1 118 039	731	-1 174 178	3 132 068	

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE